



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 16 ივლისის
 № 1234 დადგენილებით

მოდულირებულია
 სტუ-ის აკადემიური საბჭოს
 2021 წლის 23 ივნისის
 № -01-05-04/68 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მევენახეობა და მეღვინეობა

Viticulture and Winemaking

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგი

Agricultural Sciences and Bio Systems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ნინო ჩხარტიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი
 (Master of Viticulture and Enology)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს მიხედვით: ინტერდისციპლინური - “მევენახეობა და მეღვინეობა”; „ბიოლოგია“; „გარემოსმცოდნეობა“; „სურსათის გადამამუშავება“; „მემცენარეობა და მეცხოველეობა“; „მებაღეობა“), რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php>, გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის შემდეგ.

შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა.

აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS); ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო სემესტრის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც მოცემულია ვებ გვერდზე <http://gtu.ge/Orders>, სადაც გაწერილია დეტალური ინფორმაცია სემესტრის მიმდინარეობის, მინიმალური ზღვარისა და ვადების შესახებ.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში “მევენახეობა და მეღვინეობა“ 120 კრედიტის განაწილება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 80 კრედიტი. მათგან 76 კრედიტი არის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო 4 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საველე და საწარმოო პრაქტიკას ჯამში 10 კრედიტის მოცულობით. კვლევით კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი:

იგი გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში.

მაგისტრატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“

https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

პროგრამის მიზანი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს:

- მსოფლიო მევენახეობის დარგში ვაზის ჯიშურ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ვენახის გაშენება-მოვლის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდები, ვენახში ჩასატარებელი აგროტექნოლოგიური პროცესების სრული ციკლი და მართვის თავისებურებები.
- მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მსოფლიო ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში ყურძნის გადამუშავების ტრადიციული, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიები; ღვინისა და სასმელების ხარისხისა და სენსორული შეფასების საერთაშორისო მეთოდები და პრაქტიკაში დანერგილი სისტემები, საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში

ექსპერიმენტების დაგეგმვა-მართვა.

- მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი/მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი, რომელიც მართავს წარმოების სრულ ჯაჭვს ვენახის გაშენებიდან - საბოლოო პროდუქტის მიღებამდე.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- აქვს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ფლობს მევენახეობა-მეღვინეობის ორგანიზაციულ და სეზონური მართვის პრინციპებს. განსაზღვრავს ვაზის განვითარების სეზონურ ფაზებსა და მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს, აგროკლიმატური პირობების გავლენას ვაზისა და ღვინის ხარისხზე, ვენახების ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვის ეფექტურ და მდგრად სისტემებს, დარგის თანამედროვე ტენდენციებს და იყენებს მას ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებაში;
- ახდენს გავრცელებული მავნებელ-დაავადებების იდენტიფიცირებას, პრევენციის მიზნით ახორციელებს ინტეგრირებული დაცვის სისტემებს; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დამოუკიდებლად გეგმავს ვენახის მოვლა-მოყვანის ოპერაციებს; აფასებს მცენარის ზრდა-განვითარების პროცესში წარმოქმნილ გაუთვალისწინებელ პრობლემებს და იყენებს მათი გადაჭრის ახალ ორიგინალურ გზებს;
- რთველის ოპტიმალური თარიღის განსაზღვრის მიზნით, დამოუკიდებლად ადგენს ყურძნის სიმწიფესა და მისი მოსავლის ხარისხს, მის შესაბამის გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს;
- მოქმედი რეგულაციების შესაბამისად დამოუკიდებლად მართავს ყურძნის მოყვანა-გადამუშავების პროცესებსა და მეღვინეობის ოპერაციების მონიტორინგს, დამოუკიდებლად არჩევს ტექნოლოგიური პროცესების მსვლელობისას საჭირო მოწყობილობათა აპარატების გამოთვლა-გამოყენებას, წარმოების საერთო და კონკრეტული ტექნოლოგიური ოპერაციების მართვა-განხორციელებას; პროდუქციის სრულყოფის მიზნით ეფექტური, თანამედროვე მეთოდებისა და ღონისძიებების განხორციელებას;
- ახდენს ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებას; განიხილავს მათი წარმოქმნის მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს; ხელმძღვანელობს ღვინის დეგუსტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებითა და სტანდარტებით;
- განსაზღვრავს ყურძნისა და ღვინის ანალიზის მეთოდებს, ყურძნის გადამუშავების დროს მიმდინარე ფიზიკო-ქიმიურ პროცესებს, განიხილავს პროცესების მსვლელობისას აუცილებელ გადაწყვეტილებებს და მათი განხორციელების გზებს;
- შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიმედიურ გარემოში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში წარმოქმნილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება მევენახეობა-მეღვინეობის დარგში უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს დასაბუთებულ დასკვნებს, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახორციელებს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აყალიბებს თავის დასკვნებს,

არგუმენტებს და კვლევის მეთოდებს;

- დამოუკიდებლად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს, გეგმავს სწავლის გაგრძელების საჭიროებას და წარმართავს მას;
- იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად წარმოაჩინოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ და ინოვაციურ ხედვებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევების შესწავლა (Case study), დემონსტრირება, ინდუქცია, ლაბორატორიული მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, წერითი, ელექტრონული სწავლება (E-learning), დედუქცია, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.

დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.

შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ, დანართი 2

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

დასაქმების სფერო

- დარგობრივი საჯარო, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორი;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მასში შემავალი დარგობრივი უწყებები და რეგიონალური სამსახურები;
- ლაბორატორიები, საცდელი-სამეურნეო-ექსპერიმენტალური მეურნეობები და ბაზები;
- სადეგუსტაციო კომისიები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 32

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
			I წელი		II წელი		
			სემესტრი				
			I	II	III	IV	
1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ გააჩნია	5				
	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)						
	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)						
	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა)						
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ გააჩნია	5				
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)						
3	ამპელოგრაფია	არ გააჩნია	5				
4	ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა	არ გააჩნია	4				
5	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია	არ გააჩნია	6				
6	ღვინის ქიმია	არ გააჩნია	4				

7	ღვინის მიკრობიოლოგიის გამლიერებული კურსი	არ გააჩნია	5			
8	ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია	არ გააჩნია	5			
9	მოწყობილობათა ოპერაციები	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია		4		
10	ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები	ამპელოგრაფია; ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია; ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებულ- ლი მართვა		4		
11	ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია; ღვინის მიკრობიოლოგიის გამლიერებული კურსი; ღვინის ქიმია		4		
12	მევენახეობის ოპერაციული მართვა	ამპელოგრაფია; ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია, ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა		5		
13	საველე პრაქტიკა მევენახეობაში	ამპელოგრაფია; ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია, ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა		5		
14	კვლევის მეთოდოლოგია და ექსპერიმენტი	მოწყობილობათა ოპერაციები; მევენახეობის ოპერაციული მართვა; ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები; ვაზის მავნებელ- დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები;			5	
15	მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება	ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები			5	

16	საწარმოო პრაქტიკა ღვინის საწარმოში	მოწყობილობათა ოპერაციები; ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები			5	
17	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები					
17.1	მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება	არ გააჩნია			4	
17.2	აგროდაზღვევა					
17.3	საღვინე ყურძენი და მსოფლიო მევენახეობის რეგიონები					
17.4	ღვინისა და სასმელების მარკეტინგი					
17.5	ვაზის სელექცია					
17.6	ღვინის ტურიზმი					
17.7	მსოფლიო ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები					
17.8	აგროკლიმატური რესურსები და კლიმატის ცვლილება					
17.9	ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია					
17.10	ღვინის წარმოების ხარისხის მართვა					
	კვლევითი კომპონენტი	ყველა სასწავლო კომპონენტი			40	
		სემესტრში:	34	27	19	-
		წელიწადში:	61		59	
		სულ:	120			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH16312G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125	15		30					2	2	76
	LEH16412G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	5/125	15		30					2	2	76
	LEH16612G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	5/125	15		30					2	2	76

	LEH16512G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა)	5/125	15		30				2	2	76
2	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
	LEH12312G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30				2	2	76
	LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15		30				2	2	76
	LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15		30				2	2	76
3	AGC23810G1-LS	ამპელოგრაფია	5/125	15	30					1	1	78
4	ENV16810G1-LP	ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა	4/100	15		15				1	1	68
5	MAP16010G2-LSP	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია	6/150	15	15	30				1	1	88
6	PHS13710G2-LS	ღვინის ქიმია	4/100	15	15					1	1	68
7	BRS18910G1-LB	ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი	5/125	15			30			1	1	78
8	BRS19010G1-LS	ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია	5/125	15	30					1	1	78
9	MAP16110G2-LP	მოწყობილობათა ოპერაციები	4/100	15		15				1	1	68
10	BRS19110G1-LS	ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები	4/100	15	15					1	1	68
11	PHS13810G2-B	ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები	4/100				30			1	1	68
12	AGC25210G1-LS	მევენახეობის ოპერაციული მართვა	5/125	15	30					1	1	78
13	AGC25310G1-R	საველე პრაქტიკა მევენახეობაში	5/125					90		1	1	33
14	MAP16210G2-LR	კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი	5/125	15				75		1	1	33
15	MAP16310G2-LSP	მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება	5/125	15	15	15				1	1	78
16	MAP16410G2-R	საწარმოო პრაქტიკა ღვინის საწარმოში	5/125					90		1	1	33
17	არჩევითი სასწავლო კურსები											
17.1	LAW15310G2-LS	მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება	4/100	15	15					1	1	68
17.2	BUA21010G2-LS	აგროდაზღვევა	4/100	15	15					1	1	68
17.3	AGC25410G1-LS	სადვინე ყურძენი და მსოფლიო	4/100	15	15					1	1	68

		მევენახეობის რეგიონები										
17.4	BUA56810G1-LS	ღვინისა და სასმელების მარკეტინგი	4/100	15	15					1	1	68
17.5	BRS19210G1-LS	ვაზის სელექცია	4/100	15	15					1	1	68
17.6	PES18610G1-LS	ღვინის ტურიზმი	4/100	15	15					1	1	68
17.7	MAP16510G2-LS	მსოფლიო ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები	4/100	15	15					1	1	68
17.8	ENV16910G1-LS	აგროკლიმატური რესურსები და კლიმატის ცვლილება	4/100	15	15					1	1	68
17.9	MAP16610G2-LS	ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია	4/100	15	15					1	1	68
17.10	BUA35610G3-LS	ღვინის წარმოების ხარისხის მართვა	4/100	15	15					1	1	68

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ნინო ჩხარტიშვილი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 16 ივლისის № 1234 დადგენილებით

მოდიფიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი №103 07.06.2021 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა